იცით, რა თქვა თქვენმა ღმერთმა?" მათ უპასუხეს: ალლაჰმა და მისი მოციქულმა უკეთ იციან. თქვა: "ჩემი მსახურებიდან დღეს დილას გაიღვიძე, ზოგმა ჩემს მორწმუნედ და ზოგმა ურწმუნოდ

გადმოცემულია ზაიდ იბნ ხაალიდ ალ-ჯუჰანისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) დილით ლოცვა აღასრულა ჩვენთან ერთად ჰუდაიბიაში ღამით მოსული წვიმის შემდეგ. ლოცვის დასრულებისას მიმართა ხალხს და ჰკითხა: "იცით, რა თქვა თქვენმა ღმერთმა?" მათ უპასუხეს: ალლაჰმა და მისი მოციქულმა უკეთ იციან. თქვა: "ჩემი მსახურებიდან დღეს დილას გაიღვიძე, ზოგმა ჩემს მორწმუნედ და ზოგმა ურწმუნოდ. ვინც თქვა: 'ჩვენ ალლაჰის სიკეთითა და წყალობით წვიმა მოგვივიდა', ის ჩემდამი მორწმუნეა და უარყოფს ვარსკვლავებს. ხოლო ვინც თქვა: 'წვიმა მოვიდა ამა და ამ ვარსკვლავის წყალობით', ის არის ურწმუნო ჩემს მიმართ და მორწმუნე ვარსკვლავების მიმართ."

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

დილის ლოცვა ილოცა ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჰუდაიბიაში - სოფელი, რომელიც მაქქასთან ახლოს მდებარეობს,- იმ ღამეს მოსული წვიმის შემდეგ, ლოცვის დასრულებისას მობრუნდა ხალხისკენ და ჰკითხა მათ: "იცით, რა თქვა თქვენმა ღმერთმა დიდებულმა და ყოვლისშემძლემ?" უპასუხეს: ალლაჰმა და მისმა მოციქულმა უკეთ იციან, თქვა: უზენაესმა ალლაჰმა განმარტა, რომ წვიმის მოსვლისას ხალხი ორ ნაწილად იყოფა: ერთი ნაწილი მორწმუნეა უზენაესი ალლაჰის მიმართ, ხოლო მეორე - ურწმუნოა უზენაესი ალლაჰის მიმართ. ხოლო ვინც თქვა: "ჩვენ ალლაჰის სიკეთითა და წყალობით წვიმა მოგვივიდა" და წვიმის მოსვლა უზენაეს ალლაჰს მიაწერა, ის არის ალლაჰის მორწმუნე, როგორც შემოქმედისა და სამყაროს მმართველის, და ვარსკვლავების მიმართ ურწმუნო. ხოლო ვინც თქვა: "ჩვენ ამა და ამ ვარსკვლავის გავლენით წვიმა მოგვივიდა," ის არის ალლაჰის ურწმუნო და მორწმუნე ვარსკვლავების, რაც პატარა ურწმუნოებაა, რადგან წვიმის მოსვლა ვარსკვლავებს მიაწერა, მაშინ როცა ალლაჰმა ეს არც შარიათის და არც ბედისწერის მიზეზად არ დაადგინა, ხოლო ვინც წვიმის ან სხვა მიწიერი მოვლენების წარმოშობას ვარსკვლავების ამოსვლასა და მოწყვეტას მიაწერს და სჯერა, რომ ისინი ნამდვილი მოქმედი მიზეზებია, ის არის დიდი ურწმუნო დიდი ურწმუნოებიდან.

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY

لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee